



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	არქიტექტურა (ინგლისურენოვანი)
პროგრამის ხელმძღვანელი	აფილირებული ასოც. პროფ. დოქტორი გიორგი წანაწყენიშვილი მობ. ტელ.: +995 599 77 27 16, ელ. ფოსტა: gio_tsana@yahoo.com
სწავლების საფეხური	ბაკალავრიატი (უმაღლესი განათლების I საფეხური)
სწავლების ენა	ინგლისური
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	აკადემიური, ძირითადი
კრედიტების რაოდენობა	240 ECTS კრედიტი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	არქიტექტურის ბაკალავრი / Bachelor of Architecture
დაშვების წინაპირობები	საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით - ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს. კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ჩარიცხვა შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია არქიტექტორის პროფესიისათვის აუცილებელი საფუძვლიანი თეორიული ცოდნითა და უნარ-ჩვევებით აღჭურვილი მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება. აღნიშნული უნარ-ჩვევები გულისხმობს კურსდამთავრებულის მიერ საპროექტო არეალის მახასიათებლების განსაზღვრის, ესკიზებისა და არსებული სამშენებლო ნორმატივების გამოყენებით პროფესიონალური არქიტექტურული პროექტების კეთების უნარს. პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტთა უზრუნველყოფას არამარტო თეორიული ცოდნით, არამედ პრაქტიკული გამოცდილებითაც სხვადასხვა საწარმოებსა და საპროექტო სტუდიებში პრაქტიკის ორგანიზების ხელშეწყობით, რაც აუცილებელია დღევანდელი კონკურენტული ბაზრის თანამედროვე მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად; პროგრამის მიზანია ასევე კომუნიკაციის, ინტელექტუალური და

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<p>პიროვნებათაშორის ურთიერთობების უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა;</p> <p>არქიტექტურის საგანმანათლებლო პროგრამა გულისხმობს სწავლების პროცესისთვის აუცილებელი პირობების შექმნას, ეს საშუალებას მისცემს სტუდენტებს მაქსიმალურად გამოიყენონ პროგრამის მიერ მათთვის შეთავაზებული შესაძლებლობები, რაც თავის მხრივ განაპირობებს პროფესიული განვითარებისა და ზრდის ხელშეწყობას.</p> <p>პროგრამის მიზანია მოამზადოს სტუდენტი სწავლის გაგრძელებისათვის შემდგომ საფეხურზე - მაგისტრატურაში, იყოს მოთხოვნადი სპეციალისტი და კარგად დასაქმდეს შრომის ბაზარზე.</p>
<p>სწავლის შედეგები</p>	<p>პროგრამის სავალდებულო ნაწილის დასრულების შედეგად სტუდენტს ჩამოუყალიბდება შემდეგი კომპეტენციები:</p> <p>ცოდნა და გაცნობიერება</p> <ul style="list-style-type: none"> • არქიტექტურული გეგმარებისა და პროექტირების საკითხების ფუნდამენტური ცოდნა; • არქიტექტურული პროფესიის როლის გაცნობიერება; • არქიტექტურული ტერმინოლოგიის ცოდნა; • საერთაშორისო არქიტექტურული სტილებისა და ცნობილი არქიტექტორების ნამუშევრების ცოდნა; • პროექტირების ავტომატიზირებული სისტემების ცოდნა; • საერთაშორისო სამშენებლო ნორმების საფუძვლების ცოდნა; • მდგრადი არქიტექტურის პრინციპების, თეორიისა და მეთოდების საფუძვლების ცოდნა; • შენობათა ტექნოლოგიებისა და არქიტექტურული ფიზიკის პრინციპების, თეორიისა და უახლესი კვლევითი მიღწევების ცოდნა; • თანამედროვე კონსტრუქციების ცოდნა; • ქალაქთგეგმარების ძირითადი პრინციპების ცოდნა. <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p> <ul style="list-style-type: none"> • პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენების უნარი მუშაობის პროცესში პრეზენტაციების, დისკუსიებისა და არქიტექტურული პროექტის კეთების დროს; • მიღებული ცოდნის სათანადოდ გამოყენების უნარი კერძო თუ სახელმწიფო დაწესებულებებში დასაქმებისას;

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<ul style="list-style-type: none"> • შენობის არქიტექტურული მახასიათებლების, მათ შორის, გეგმარებითი პრინციპების, ფუნქციონალური სქემებისა და საპროექტო ტერიტორიის ქალაქთგეგმარებითი კონტექსტის განსაზღვრის უნარი; • მდგრადი არქიტექტურის მსოფლიო გამოცდილების საფუძვლების ცოდნის გამოყენების უნარი პროფესიონალურ არქიტექტურულ პრაქტიკაში; • არქიტექტურული ფიზიკის ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი • ინდივიდუალურად და ჯგუფურად მუშაობის უნარი რათა მოხდეს პრობლემების გაანალიზება, კვლევითი ღონისძიებების ჩატარება და პრობლემების გადაჭრა. <p>დასკვნის უნარი</p> <ul style="list-style-type: none"> • სფეროსთან დაკავშირებული საკითხების გაცნობიერებისათვის აუცილებელი ანალიტიკური უნარ-ჩვევები, არქიტექტურული პროექტის ძირითადი პრინციპების განსაზღვრისა და გაანალიზების უნარი; • მშენებლობის ტექნოლოგიის პროცესების, გამოყენებული სამშენებლო მასალებისა და შენობაში კომფორტული საცხოვრებელი პირობების შესახებ მსჯელობისა და საკუთარი შეფასების გაკეთების უნარი; • უახლესი კონსტრუქციების პროექტირებისათვის აუცილებელ ინტელექტუალურ და ტექნიკურ თვისებებთან მიმართებაში კომპეტენციის, შემოქმედებითობისა და კრიტიკული ანალიზის უნარი; • სფეროსთან დაკავშირებული გადაწყვეტილებებისა და საკუთარი დასკვნების გადმოცემის, დასაბუთებისა და არგუმენტებით გამყარების უნარი; • აქტუალური საკითხებისა და პრობლემების გაანალიზების, შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებისა და დაცვის უნარი, რომელსაც ადგილი აქვს სხვადასხვა პროფესიულ საგანმანათლებლო ცენტრებში, არქიტექტურულ ორგანიზაციებსა თუ საჯარო სამსახურში. <p>კომუნიკაციის უნარი</p>
--	--

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<ul style="list-style-type: none"> • თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საშუალებით პროფესიული ხედვებისა და მიდგომების შემოქმედებითად გადმოცემის უნარი; • საკუთარი მოსაზრებისა და პოზიციის პროფესიულ წრეებსა და საზოგადოებაში ინგლისურ ენაზე მკაფიოდ ფორმულირების და გაზიარების უნარი; • სხვადასხვა შეხედულებების საწინააღმდეგოდ ან მხარდასაჭერად არგუმენტების ჩამოყალიბების უნარი; • არქიტექტურასთან დაკავშირებული საკითხებზე საუბრის წარმართვის უნარი. სხვადასხვა თემებზე არქიტექტურული ტერმინოლოგიის გამოყენებით მკაფიოდ და დეტალურად საუბრის, გარკვეული აქტუალური საკითხებისადმი საკუთარი დამოკიდებულების ჩამოყალიბების უნარი; • არსებული პრობლემებისა და ამ პრობლემების გადაჭრის გზების შესახებ მოსაზრების დეტალურად და გარკვევით ჩამოყალიბებისა და წარმოდგენის უნარი; • სამუშაო ან სასწავლო ჯგუფებთან ეფექტურად მუშაობისა და ურთიერთობის უნარი. ჯგუფური განხილვებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებაში მონაწილეობის მიღებისა და ჯგუფური მუშაობის საბოლოო შედეგში წვლილის შეტანის უნარი; • ინფორმაციის გადაცემისას (პრეზენტაციები, მოხსენებები) თუ სასწავლო პროცესში თანამედროვე საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენების უნარი; <p>სწავლის უნარი</p> <ul style="list-style-type: none"> • საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასების, სწავლის პროცესის თანმიმდევრულად დაგეგმვის უნარი, შემდგომი სწავლის საჭიროების დადგენის უნარი; • ლიტერატურის დამოუკიდებლად გამოყენებით ცოდნის გაღრმავების, არქიტექტურის სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურასთან დამოუკიდებლად მუშაობის უნარი; • საკუთარი დასახული მიზნების შესაბამისად მუდმივი პროფესიული განვითარების დაგეგმვის უნარი. • არქიტექტურასთან დაკავშირებული საკითხებისადმი ინტერესი და მიღებული ცოდნის გაგრძელებისა და გაღრმავების
--	---

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<p>სურვილი;</p> <ul style="list-style-type: none"> საკუთარი შესაძლებლობების აღმოჩენისა და არსებული რესურსების გამოყენებით შემდგომი პროფესიული განვითარების უნარი. <p>ღირებულებები</p> <ul style="list-style-type: none"> ეთიკური ნორმებისა და ღირებულებების განუხრელად დაცვის აუცილებლობის აღქმა; ზოგადი ეთიკური ღირებულებების ჩამოყალიბების პროცესში აქტიური ჩართულობის სურვილი. ორგანიზაციასა და საზოგადოებაში ეთიკური და კორპორაციული პასუხისმგებლობის როლის გაცნობიერების უნარი; ეთიკის ნორმებისა და მოთხოვნების შესაბამისი ღირებულებების განუხრელად დაცვის აუცილებლობის აღქმის უნარი; აკადემიური და პროფესიული პატიოსნების პრინციპების დაცვის სურვილი; პროფესიული პასუხისმგებლობის გრძნობა.
<p>სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა</p>	<p>შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებაში.</p> <p>სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას.</p> <p>შეფასების სისტემა უშვებს:</p> <p>ხუთი სახის დადებით შეფასებას:</p> <ol style="list-style-type: none"> 1) (A) ფრიადი – შეფასების 91 - 100 ქულა; 2) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81 - 90 ქულა; 3) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71 - 80 ქულა; 4) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61 - 70 ქულა;

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<p>5) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51 - 60 ქულა.</p> <p>ორი სახის უარყოფით შეფასებას:</p> <p>1) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;</p> <p>2) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p> <p>შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ აღემატება დასკვნითი შეფასების 60%-ს.</p> <p>შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულობრივი განაწილება, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების რუბრიკები გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში.</p> <p>კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:</p> <p>ა) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში;</p> <p>ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში.</p> <p>დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მან საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მოაგროვა 41 - 50 ქულა ან მინიმუმ 51 ქულა, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი შესაფებისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.</p>
<p>დასაქმების სფერო</p>	<p>არქიტექტურის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა აქვთ დასაქმდნენ როგორც კერძო ისე საჯარო ორგანიზაციაში არქიტექტურულ სექტორში (არქიტექტურულ-დიზაინერულ სტუდიებში, სამშენებლო კომპანიებში, უძრავი ქონების სააგენტოებში, მუნიციპალიტეტებში), სხვადასხვა ბიზნეს გაერთიანებებსა თუ საჯარო დაწესებულებებში. დასაქმების სფერო შეიძლება იყოს: არქიტექტურული პროექტირება, ქალაქთგეგმარება, კონსულტაცია, პროექტის მართვა და სხვა მონათესავე მიმართულებები.</p>

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge